



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია

აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის
2018 წლის 22 იანვრის №77 დადგენილებით

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფორმირების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

1.1. რეგულირების სფერო

წინამდებარე აქტი აყალიბებს კერძო სამართლის იურიდიული პირის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) მართვის ორგანოების და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) მართვის ორგანოების:

- აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი
- მმართველობითი საბჭო
- რექტორი
- ვიცე-რექტორი;
- ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური
- სკოლის საბჭო
- დეკანი

ფორმირების (არჩევის/დანიშვნის) წესს და პროცედურებს.

1.2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „ საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის დებულების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

თავი II. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის ფორმირების წესი

2.1. სენატის ფორმირება ხდება არჩევითობის და თამანდებობრივი პრინციპის საფუძველზე. სენატის არჩევითი წევრები არიან აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და კურსდამთავრებულები, ხოლო თანამდებობრივად სენატის წევრის სტატუსი ენიჭებათ უნივერსიტეტის რექტორს, ვიცე-რექტორს, ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსს, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსს, ასევე სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს.

2.2. სენატის არჩევითი წევრები აირჩევიან სკოლების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2.3. სენატის წევრი აირჩევა 4 წლის ვადით. პირი შეიძლება არჩეულ იქნას სენატის წევრად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2.4. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის წევრთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება თანამდებობრივ წევრთა რაოდენობის ორმაგი ოდენობით.

2.5. სენატში თითოეულ სკოლას უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

სენატში თითოეული სკოლის ქვოტა განისაზღვრება საგანმანათლებლო ერთეულებზე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის პროპორციულად:

სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რ-ბა	სენატში არჩეულ წევრთა მაქსიმალური რ-ბა
20 და ნაკლები	1
21-50	2
51 - 100	3

2.6. სენატის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება;

გ) სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

დ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;

ვ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, სხვა შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების სისტემატური დარღვევა;

ზ) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველები (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში).

2.7. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრის არჩევა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სენატის წევრთა საერთო რ-ბა მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები გახდება.

2.8. სენატში შეიძლება მოწვეულ იქნას პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, სკოლის დეკანები სათათბირო ხმის უფლებით.

2.9. სენატის არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. არჩევნების დანიშვნის შესახებ ბრძანება და საინფორმაციო მასალები საჯარო გაცნობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე 1 თვით ადრე. ინფორმაციაში აღინიშნება რეგისტრაციის დაწყების და დამთავრების ვადები, არჩევნების თარიღი.

2.10. არჩევნების ორგანიზება-ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტში იქმნება საარჩევნო კომისია, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს სხდომებზე, ხმების უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

2.11. საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება რექტორის მიერ კენტი რიცხვით და არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეულ იქნან საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც.

2.12. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც: ხელს აწერს კომისიის გადაწყვეტილებებს, თავმჯდომარეობს სხდომებს, ახორციელებს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დაშვებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.13. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მდივანი, რომელიც ინიშნება რექტორის ბრძანებით ადგენს კომისიის დღის წესრიგს, სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შესულ კორესპონდენციას, არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს, ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და ხელს აწერს მათ თავმჯდომარესთან ერთად, ახორციელებს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.14. სენატი თავის პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში, ცნობს თავის უფლებამოსილებას.

თავი III. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის ფორმირების პროცედურა

3.1. ამომრჩეველთა სიის ფორმირებას და კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 5 კალენდარული დღის განმავლობაში. კანდიდატურების წარდგენა შეუძლია სკოლის საბჭოს. ასევე საკუთარი კანდიდატურის წარდგენა შეუძლია სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ნებისმიერ წარმომადგენელს. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია მიუთითოს და განმარტოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. უარი რეგისტრაციაზე 1 დღის ვადაში უნდა ეცნობოს შესაბამის კანდიდატს.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების კანდიდატისათვის ჩაბარებიდან 2 დღის ვადაში.

კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია რეგისტრაციის ვადის დარღვევა.

საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის ვადაში. აღნიშნული გადაწყვეტილებების გასაჩივრება კანდიდატს შეუძლია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2. საარჩევნო სიები დგება ცალკეული სკოლების მიხედვით. სიებში შეიყვანება სკოლის ყველა სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი და სამეცნიერო პერსონალი.

საარჩევნო სიებში აღინიშნება ამომრჩევლის სახელი და გვარი და თანამდებობა.

3.3. საარჩევნო კანდიდატი უფლებამოსილია, ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. ყველა კანდიდატი კამპანიის წარმართვისას თანასწორუფლებიანია.

წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ საარჩევნო კომისიის წევრებს.

წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ ხელი არ უნდა შეუშალოს სასწავლო პროცესს. დაუშვებელია ლექცია-სემინარებზე მათი წარმოება ან ისეთი ქმედებები, რომელიც ხელყოფს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ამომრჩეველთა და კანდიდატთა ღირსებებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიას ყველა კანდიდატისათვის თანაბრად – აუდიტორიებით, დარბაზებით და სხვა საშუალებებით.

3.4. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენებზე სათანადო აღნიშვნითა და მისი საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ, მისი პასუხისმგებლობის ქვეშ.

ბიულეტენში აღინიშნება:

- უნივერსიტეტის და სკოლის დასახელება;
- მართვის ორგანოს სახელწოდება
- საარჩევნო კანდიდატების ჩამონათვალი.

დაუშვებელია ერთ პირზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა. ბიულეტენები გაიცემა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

3.5. არჩევნების ჩასატარებლად უნივერსიტეტი საარჩევნო კომისიას უზრუნველყოფს საარჩევნო ურნებით.

კენჭისყრამდე ურნები მოწმდება დამკვირვებლებისა და კომისიის წევრების მიერ და კენჭისყრის დაწყებამდე ილუქება. პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენტან ერთად არჩევნების შედეგების ნამდვილობის მიზნით მასში თავსდება საკონტროლო ფურცელი საარჩევნო კომისიის მიერ.

თუ საარჩევნო ურნა დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე.

3.6. არჩევნების ორგანიზებას ახდენენ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. არჩევნების ორგანიზება-ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტი არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის სამუშაო პირობებს საჭირო ფართითა და ინვენტარით.

არჩევნების დღეს საარჩევნო კომისია მუშაობას იწყებს დილის 10:00 საათზე. კენჭისყრა იწყება 11:00 საათზე.

3.7. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისაგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელისმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი შედის კაბინაში, სადაც წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ ერთ კანდიდატურას, აგდებს ბიულეტენს საარჩევნო ურნაში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან.

კაბინად ითვლება ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც დაცული იქნება ხმის მიცემის ფარულობა.

3.8. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით ითვლიან არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას. რაც ფიქსირდება შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებზე მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ დაგროვილი ხმების რაოდენობა.

არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 50% +1.

არჩევნებში გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთები და კომისიის წევრები ითვლიან მასში მოთავსებულ ბიულეტენებს. წრიულად შემოხაზული ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი ბიულეტენები.

ბიულეტენი ბათილია, თუ:

- შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;
- შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

ხმების დათვლის დასრულებისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც აღიწერება:

- ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
- არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით;
- თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა;
- კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერა.

არჩეულად ითვლება არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი/კანდიდატები

3.9. უნივერსიტეტის საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მსურველი ფიზიკური და იურიდიული პირები – თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით, უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე 5 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მისაღებად.

პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

- უნივერსიტეტის მართვის ორგანოში (სენატი) ასარჩევი კანდიდატი;

- იმ სკოლის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლობას.

3.10. არჩევნების დღეს დადგენილი წესების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი და ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ოქმის შემდგენლის სტატუსი, გვარი, სახელი, მისამართი;
- დარღვევის შინაარსი;
- დარღვევის დაფიქსირების დრო;
- დარღვევის ოქმზე კომისიის თავმჯდომარის ხელისმოწერა ან აღნიშვნა ხელისმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
- არსებობის შემთხვევაში მოწმეების ვინაობა, რომლებიც დაადასტურებენ დარღვევის ფაქტს, და მათი ხელმოწერები;
- ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა და ხელისმოწერა.

3.11. არჩევნების შედეგები კომისიის მიერ ცხადდება არჩევნების მეორე დღეს. კომისია ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგები.

არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, კომისიის წევრსა და ამომრჩეველს უფლება აქვთ შეიტანონ საჩივარი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი აღარ მიიღება.

საჩივარი სავალდებულოა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- საჩივრის შემდგენი პირის სტატუსი;
- დარღვევის შინაარსი;
- არსებობის შემთხვევაში მოწმეთა ვინაობა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ დარღვევის ფაქტი;
- საჩივრის შემტანის მოთხოვნა და საჩივარზე მისი ხელისმოწერა, საჩივრის თარიღი და დრო.

საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი – ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებებს არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესების ან/და საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევებმა არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

3.12. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს საჯაროობის მიზნით ხელმისაწვდომ ადგილზე – უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დასაშვებია არჩევნების შედეგების სხვა საინფორმაციო საშუალებებითაც გამოქვეყნება.

არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და შემაჯამებელი ოქმები ინახება საარჩევნო კომისიაში.

თავი IV. მართვის სხვა ორგანოების ფორმირების წესი

4.1. მმართველობითი საბჭო

4.1.1. მმართველობით საბჭოს ფორმირება ხდება თანამდებობრივი პრინციპის საფუძველზე.

4.1.2. მმართველობით საბჭოში შედის საზოგადოების დირექტორი, უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, სკოლების დეკანები, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი.

4.1.3. მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტად უნივერსიტეტის დამფუძნებლის მიერ ინიშნება საზოგადოების დირექტორი.

4.2. სკოლის საბჭო

4.2.1. სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4 - ზე ნაკლები.

4.2.2. სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების სკოლის საბჭოში შეყვანის პროცედურას განსაზღვრავს სკოლის დებულება.

4.2.3. სკოლის საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. განახლებას ექვემდებარება წევრების უფლებამოსილების ვადის გასვლის ან კანონმდებლობით დაშვებული საფუძვლებით – შეწყვეტის შემთხვევაში.

4.3. რექტორი

4.3.1. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც 3 წლის ვადით ნიშნავს უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი დამფუძნებელთან შეთანხმებით.

4.4. ვიცე-რექტორი

4.4.1. ვიცე-რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც 3 წლის ვადით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

4.5. ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური

4.5.1. უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსს მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

4.5.2. სამსახურის თანამშრომლებს სამსახურის უფროსის წარდგინებით ნიშნავს რექტორი მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

4.6. დეკანი

4.6.1. სკოლის დეკანს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

თავი V. დასკვნითი დებულებები

5.1. წესში ცვლილებების შტანა ხორციელდება აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ.